

## შპს ავტოსერვისცენტრი+

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა  
2024 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ანგარიშგება

|                                            |      |
|--------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება         | 3    |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება          | 4    |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება | 5    |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები              | 6-17 |

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## შპს ავტოსერვისცენტრი+

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ფინანსური მდგომარეობის<br>ანგარიშგება           | Note | 12/31/2024       | 12/31/2023       | 12/31/2022       | 1/1/2022         |
|-------------------------------------------------|------|------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                 |      |                  |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                    |      |                  |                  |                  |                  |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                      |      | 272,033          | 276,989          | 311,384          | 2,108,331        |
| ძირითადი საშუალებები                            | 3    | 250,677          | 222,792          | 189,582          | 196,730          |
|                                                 |      | <u>522,710</u>   | <u>499,781</u>   | <u>500,965</u>   | <u>2,305,061</u> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                    |      |                  |                  |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული<br>ინსტრუმენტები   | 4    | 458,414          | 141,277          | 128,388          | 325,429          |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი<br>მოთხოვნები      | 5    | 374,822          | 586,271          | 567,810          | 562,904          |
| მისაღები პროცენტები                             |      | 0                | 0                | 0                | 0                |
| მარაგები                                        | 6    | 78,194           | 449,846          | 79,277           | 55,690           |
|                                                 |      | <u>911,430</u>   | <u>1,177,395</u> | <u>775,475</u>   | <u>944,023</u>   |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                         |      | <u>1,434,140</u> | <u>1,677,175</u> | <u>1,276,440</u> | <u>3,249,084</u> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                         |      |                  |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                              |      | 800              | 800              | 800              | 800              |
| გაუნაწილებელი მოგება /<br>(დაგროვილი ზარალი)    |      | 1,433,340        | 1,676,376        | 1,275,640        | 3,214,926        |
|                                                 |      | <u>1,434,140</u> | <u>1,677,176</u> | <u>1,276,440</u> | <u>3,215,726</u> |
| <b>ვალდებულებები</b>                            |      |                  |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>               |      |                  |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                            | 7    | 0                | 0                | 0                | 0                |
|                                                 |      | <u>0</u>         | <u>0</u>         | <u>0</u>         | <u>0</u>         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>               |      |                  |                  |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი<br>ვალდებულებები   | 8    |                  |                  |                  | 0                |
| გადასახდელი პროცენტი                            |      |                  |                  |                  | 0                |
| მოკლევადიანი სესხები                            |      |                  |                  |                  | 0                |
| საგადასახადო ვალდებულებები                      |      |                  |                  |                  | 33,358           |
|                                                 |      | <u>0</u>         | <u>0</u>         | <u>0</u>         | <u>33,358</u>    |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>                    |      | <u>0</u>         | <u>0</u>         | <u>0</u>         | <u>33,358</u>    |
| <b>მთლიანი კაპიტალი &amp;<br/>ვალდებულებები</b> |      | <u>1,434,140</u> | <u>1,677,176</u> | <u>1,276,440</u> | <u>3,249,084</u> |

დირექტორი: *ლ. შაყვი*

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| მოგებისა და ზარალის ანგარიშგება | შენიშვნა | 12/31/2024  | 12/31/2023  | 12/31/2022  |
|---------------------------------|----------|-------------|-------------|-------------|
| ამონაგები                       | 9        | 4,310,068   | 4,435,761   | 3,278,200   |
| თვითღირებულება                  |          | (3,795,114) | (2,239,645) | (2,172,442) |
| საერთო მოგება                   |          | 514,955     | 2,196,116   | 1,105,758   |
| სხვა შემოსავლები                | 10       | 128,324     | -           | -           |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი  |          | (1,067,958) | (2,054,824) | (1,691,056) |
| სხვა ხარჯები                    | 11       | (798)       | (5,528)     | (1,350,049) |
| საოპერაციო მოგება               |          | (425,477)   | 135,763     | (1,935,347) |
| ფინანსური შემოსავალი            |          | 244,870     | 309,333     |             |
| ფინანსური ხარჯი                 | 12       | (59,014)    | (48,305)    | -           |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა        |          | 185,855     | 261,028     | -           |
| მოგება დაბეგვრამდე              |          | (239,622)   | 396,791     | (1,935,347) |
| მოგების გადასახადი              |          | -           | -           | -           |
| პერიოდის მოგება                 |          | (239,622)   | 396,790.54  | (1,935,347) |

დირექტორი: 

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| 2022 წლის 1 იანვარი          | 800                   | 3,214,926               | 3,215,726        |
|                              |                       |                         | -                |
| მოგება წლის ბოლოს            |                       | (1,935,347)             | (1,935,347)      |
| სხვა სრული შემოსავალი        | -                     |                         | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი    | -                     | (1,935,347)             | (1,935,347)      |
|                              |                       |                         | -                |
| გაცემული დივიდენდი           | -                     | -                       | -                |
| კაპიტალის გატანა კორექტირება | -                     | 3,939                   | 3,939            |
| 2022 წლის 31 დეკემბერი       | 800                   | 1,275,640               | 1,276,440        |
|                              |                       |                         | -                |
| მოგება წლის ბოლოს            | -                     | 396,791                 | 396,791          |
| სხვა სრული შემოსავალი        | -                     |                         | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი    | -                     | 396,791                 | 396,791          |
|                              |                       |                         | -                |
| გაცემული დივიდენდი           | -                     | -                       | -                |
|                              |                       |                         | -                |
| კაპიტალის გატანა კორექტირება | -                     | (3,945)                 | (3,945)          |
| 2023 წლის 31 დეკემბერი       | 800                   | 1,676,376               | 1,677,176        |
|                              |                       |                         | -                |
| მოგება წლის ბოლოს            | -                     | (239,621)               | (239,621)        |
| სხვა სრული შემოსავალი        | -                     |                         | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი    | -                     | (239,621)               | (239,621)        |
|                              |                       |                         | -                |
| გაცემული დივიდენდი           | -                     | -                       | -                |
|                              |                       |                         | -                |
| კაპიტალის გატანა კორექტირება | -                     | 3,415                   | 3,415            |
| 2024 წლის 31 დეკემბერი       | 800                   | 1,433,340               | 1,434,140        |

დირექტორი: *დ. ზაქარაძე*



## შპს ავტოსერვისცენტრი+ ის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ავტოსერვისცენტრი+ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2008 წლის 16 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 200243441. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი ვაკის რაიონი, მ. კოსტავას №68

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებს წარმოადგენენ:

- მამუკა იოზაშვილი 50%
- კახაბერ ყველაშვილი 50%

### 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

#### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

#### მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ: კომპანიის ბუღალტერია აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

#### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

##### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

**(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი**

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.8068 | 2.9306 |
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6894 | 2.9753 |

**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:**

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

**ტერმინების განმარტებები:****ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;
- და



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

### დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

### ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.



## გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

## სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.



**ძირითადი საშუალებები****ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ა) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

**ბ) ცვეთა**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|---------------------------|--------------------------------------|
| მანქანა-დანადგარები       | 5-12                                 |

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                     |       |
|-------------------------------------|-------|
| ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა         | 7-15  |
| სატრანსპორტო საშუალებები            | 3-7   |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 30-50 |
| ელექტრო მოწყობილობები               | 5-15  |

### აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

### სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

### **ამონაგების აღიარება**

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

### **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

### **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



### ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

|                         | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | მანქანა-<br>დანადგარები | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალება | მიწა    | სულ     |
|-------------------------|----------------------------------------------|-------------------------|-------------------------------|---------------------------|---------|---------|
| 01 იანვარი 2022         | 11,552                                       | 47,338                  | 4,728                         | 28,811                    | 103,635 | 196,064 |
| შემოსვლა                | 3,957                                        | 6,017                   | 2,262                         | -                         | -       | 12,236  |
| გასვლა                  | -                                            | -                       | -                             | -                         | -       | -       |
| ცვეთა და<br>გაუფასურება | 2,326                                        | 9,865                   | 766                           | 5,762                     | -       | 18,719  |
| 31 დეკემბერი 2022       | 13,183                                       | 43,491                  | 6,224                         | 23,049                    | 103,635 | 189,582 |
| შემოსვლა                | 26,686                                       | 19,561                  | 8,858                         | 14,596                    | -       | 69,700  |
| გასვლა                  | -                                            | -                       | -                             | -                         | -       | -       |
| ცვეთა და<br>გაუფასურება | 5,980                                        | 9,225                   | 2,079                         | 19,206                    | -       | 36,490  |
| 31 დეკემბერი 2023       | 33,888                                       | 53,827                  | 13,003                        | 18,439                    | 103,635 | 222,792 |
| შემოსვლა                | -                                            | 73,644                  | -                             | -                         | -       | 73,644  |
| გასვლა                  | -                                            | -                       | -                             | -                         | -       | -       |
| ცვეთა და<br>გაუფასურება | 5,083                                        | 27,965                  | 2,383                         | 10,328                    | -       | 45,759  |
| 31 დეკემბერი 2024       | 28,805                                       | 99,507                  | 10,620                        | 8,111                     | 103,635 | 250,677 |

## შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

|                                 | 2024      | 2023      | 2022      |
|---------------------------------|-----------|-----------|-----------|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში     | 458413.55 | 141277.47 | 128,388   |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში | 0         | 0         | -         |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 0         | 0         | -         |
| სულ                             | 458413.55 | 141277.47 | 128387.97 |

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## შენიშვნა 5

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                                      | 2024             | 2023             | 2022           |
|------------------------------------------------------|------------------|------------------|----------------|
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                           | 272035           | 276989           | 311,640        |
| მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები | 374822.38        | 586271.02        | 585,174        |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები                     | 0                | 0                | 150            |
| <b>სულ</b>                                           | <b>646857.38</b> | <b>863260.02</b> | <b>896,964</b> |

## შენიშვნა 6

## მარაგები

|                      | 2024             | 2023             | 2022             |
|----------------------|------------------|------------------|------------------|
| საქონელი             | 78194.16         | 449846.24        | 79,277           |
| ინვენტარი            | 0                | 0                | -                |
| ძირითადი საშუალებები | 250677.08        | 222791.81        | 189,582          |
| <b>სულ</b>           | <b>328871.24</b> | <b>672638.05</b> | <b>268858.79</b> |

## შენიშვნა 7

## სესხები

|                      | 2024     | 2023     | 2022     |
|----------------------|----------|----------|----------|
| გრძელვადიანი სესხები | 0        | 0        | -        |
| <b>სულ</b>           | <b>0</b> | <b>0</b> | <b>0</b> |

## შენიშვნა 8

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                         | 2024     | 2023     | 2022     |
|---------------------------------------------------------|----------|----------|----------|
| მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | -        | -        | -        |
| მიღებული ავანსები                                       | -        | -        | -        |
| გადასახდელი ხელფასი                                     | -        | -        | -        |
| ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე                  | -        | -        | -        |
| საპენსიო შენატანი                                       | -        | 0        | -        |
| <b>სულ</b>                                              | <b>0</b> | <b>0</b> | <b>0</b> |



ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 9  
ამონაგები

|                                                | 2024       | 2023       | 2022      |
|------------------------------------------------|------------|------------|-----------|
| შემოსავალი საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან | 4310068.39 | 4435761.05 | 3,278,200 |
| სულ                                            | 4310068.39 | 4435761.05 | 3278200   |

## შენიშვნა 10

## სხვა შემოსავალი

|                                    | 2024      | 2023 | 2022   |
|------------------------------------|-----------|------|--------|
| მარკეტინგული მომსახურება           | 0         | 0    | -      |
| შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან | 0         | 0    | -      |
| კონვერტაციის შედეგი (მოგება)       | 0         | 0    | -      |
| არასაოპერაციო მოგება               | 0         | 0    | -      |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი      | 128324.37 | 0    | 15,014 |
| სულ                                | 128324.37 | 0    | 15,014 |

## შენიშვნა 11

## სხვა ხარჯები

|                               | 2024     | 2023     | 2022     |
|-------------------------------|----------|----------|----------|
| ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | 0        | 474.83   | 3,309    |
| კონვერტაციის შედეგი           | 59014.41 | 48305.37 | 60,684   |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები    | 798.12   | 5435.73  | 2,248    |
| სულ                           | 59812.53 | 54215.93 | 66241.28 |

## შენიშვნა 12

## ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

|                             | 2024      | 2023      | 2022 |
|-----------------------------|-----------|-----------|------|
| საპროცენტო შემოსავალი       | (244,870) | (309,333) | -    |
| საპროცენტო ხარჯი            | 0.00      | 48305.37  | 0.00 |
| სულ ფინანსური მოგება ზარალი | (244,870) | (261,028) | -    |

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 24 სექტემბერი;

დირექტორი:

სილვა შამუგია

